



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი:

10.05.2022-01.06.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი:

16.06.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სამართლის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #87, 01.04.2019

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
--	---

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ ნაკაშიძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
---	--

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 60 ECTS კრედიტის სახით და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სამართლის სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელია. სასწავლო კომპონენტის 60 კრედიტი ფორმირებულია 2 თემატური სემინარით (40 კრედიტი) „სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდებიE“ (10კრედიტი), „სწავლების ინოვაციური მეთოდებით“ (5 კრედიტი) და „პროფესორის ასისტენტობის“ (5 კრედიტი) კომპონენტებით. სამართლის ფილოსოფიას დოქტორანტი აირჩევს იმ შემთხვევაში თუ ის წარადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთწლიანი პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ასეთ დროს მას უფლება აქვს პროფესორის ასისტენტობის ნაცვლად გაიაროს სასწავლო კურსი სამართლის ფილოსოფია.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - დისერტაციის შესრულებითა და დაცვით. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში სამართლის სკოლის დოქტორანტი ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას სამეცნიერო ხელმძღვანელთან (თანახელმძღვანელთან) შეთანხმებით. კვლევითი გეგმა მოიცავს დისერტაციაზე მუშაობის გრაფიკს. გეგმა ასევე მოიცავს ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისა და სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის გრაფიკს. ორივე სამეცნიერო სტატია (პროგრამითა და დებულებით დადგენილი სტანდარტის დონეზე) და საკონფერენციო მოხსენება დაკავშირებულია სადისერტაციო ნაშრომთან და მათი შესრულება წარმოადგენს დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობას.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დაფუძნებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია განათლების მერვე საფეხურისა და კვალიფიკაციის დონის შესაბამისად ფორმირებული პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამა ითვალისწინებს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნათა საფუძველზე შემუშავებული სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. პროგრამაში განსაზღვრულია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სწავლების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სწავლის დეტალურს სფეროს და ის წარმოდგენილია

დეტალური სფეროს კოდით 0421, ხოლო მისანიჭებელ კვალიფიკაციად განსაზღვრულია სამართლის დოქტორი.

პროგრამის მიზნები და შედეგები წარმოდგენილია ე.წ. აქტიური ზმნების ფორმატში და განსაზღვრავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ და შეფასებულ იქნა სამართლის სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და უსდ-ის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი შესწავლილ იქნა მათ მიერვე წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის კონტექსტში და ურთიერთმიმართების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ ინფორმაციასთან.

აღსანიშნავია, რომ არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემოწმდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში.

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სხადასხვა მონაცემის (მაგალითად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს კოდი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნები) საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა. შედარების შედეგების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა შესაბამისობაშია და აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, საგანმანათლებლო პროგრამა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შესაბამისობაშია.

- **რეკომენდაციები**

არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ რეკომენდაციის გაცემის საჭიროება არ გამოიკვეთა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს გაწერილი მიზნები. პროგრამის მიზნებია:

1. ახალი თაობის მეცნიერ-მკვლევარებისა და აკადემიური პერსონალის მომზადება;
2. დოქტორანტებში ზუსტი და მაღალი აკადემიური სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება;
3. თეორიულ-დოქტრინალური, დოგმატური და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული ღრმა სწავლებისა და გააზრების პროცესში, სამართლის თეორიისა და თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების (ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე) გადაწყვეტის მიზნით, სამართლის კონკრეტულ დარგში/ქვედარგში ახალი ცოდნის გენერირება, ინოვაციური მიდგომების განვითარება-დანერგვა, წარმოჩენა და დემონსტრირება იმგვარად, რომ მოახდინოს ზეგავლენა ისეთი ეროვნული სამართლის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ემსახურება ადამიანის ღირსების პატივისცემას, სოციალურ ღირებულებებზე ორიენტირებული, სოლიდარული, მდგრადი, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას, დემოკრატიისა და მართლმსაჯულების გაძლიერებას;
4. მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებელიანი, აკადემიური პატიოსნების ურყევ დაცვაზე ორიენტირებული, მაღალეთიკური პროფესიული ქცევისა და კეთილსინდისიერების მქონე, ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული ფასეულობების ერთგული სპეციალისტის მომზადება.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული. სამართლის სადოქტორო პროგრამა ასახავს თუ რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ის მისიას, ხედვას და ფასეულობებს, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზნები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ის მისია [<https://www.cu.edu.ge/ka/about-us/about-the-university/mission-cu>];
- ვებგვერდი [<https://cu.edu.ge/schoolss/school-of-law/programs2/doctoral/csl-phd-law-cu>].

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგებია:

A. ცოდნა და გაცნობიერება

A1. აღწერს სამართლის დარგის ან ქვედარგის ფარგლებში აკუმულირებულ სამეცნიერო და უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, მათ შორის, მულტიდისციპლინურ და ინტერდისციპლინურ კონტექსტში, დარგის/ქვედარგის განვითარების ისტორიულ, კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ საწყისებს და განვითარების თანამედროვე ტენდენციებს ეროვნულ ან/და გლობალურ დონეზე (სხვადასხვა სამართლის სისტემის ან/და ქვეყნების ეროვნული სამართლის ფარგლებში), თეორიასა და პრაქტიკაში მდგარ პრობლემებს და მათი მეცნიერული გადაწყვეტის კონცეპტუალურ მიდგომებს,

A2. სიღრმისეულად ფლობს და იყენებს სამართლებრივი კვლევის, სამეცნიერო წერისა და სწავლების თანამედროვე და ინოვაციურ მეთოდებს.

B. უნარი

B.1. დამოუკიდებლად გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და ახორციელებს კვლევას აკადემიურ პატიოსნებაზე დაფუძნებულს, იყენებს რა კვლევის სამართლებრივ მეთოდებს და სამეცნიერო წერის თანამედროვე მეთოდებს, ორიენტირებულია რა ახალი ცოდნის შექმნასა და იმ სტანდარტებით საკითხის დამუშავებაზე, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელ მოთხოვნებს;

B.2. დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას უკეთებს ახალ და წინააღმდეგობრივ სამეცნიერო შეხედულებებს, პრობლემათა გადაწყვეტის განსხვავებულ მიდგომებს, ახალ, აქტუალურ და სადავო სასამართლო პრეცედენტებს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ქვეყნების მაგალითებზე, ახორციელებს მათ კომპლექსურ და მრავალმხრივ შედარებას, სინთეზს, ანალიზს, ახდენს მათ სისტემატიზაციას და მიდის სამართლებრივ-ღირებულებით განზომილებებზე დაფუძნებულ თეორიულ და პრაქტიკულ დასკვნებამდე, იღებს სრულად დამოუკიდებელ, ახლებურ და ეფექტურ გადაწყვეტილებას, რომელსაც აქვს სამეცნიერო ღირებულება.

B.3. ადგენს, ცოდნის მიღებისა და კვლევის პროცესში, მიღწეული შედეგების სამეცნიერო/აკადემიური სტანდარტების შესაფერისი დოკუმენტირებისა და დემონსტრირების ხერხებს, მეთოდებს, ფორმებს, ქმნის კარგად სტრუქტურირებულ სამეცნიერო ნაშრომს (როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო კომპონენტის ფარგლებში) ქართულ ანდა ინგლისურ ენებზე, სამეცნიერო და პროფესიული აუდიტორიის წინაშე წარადგენს კვლევით შედეგებს და გარკვევით წარმოაჩენს ახალ ცოდნას; წარმოაჩენს დისკუსიისა და კამათის მაღალ აკადემიურ და ეთიკურ სტანდარტს.

B.4. გეგმავს პრაქტიკული სწავლების განსახორციელებლად აუცილებელ ნაბიჯებს, კერძოდ,

საღეჭი, სასემინარო, პრაქტიკუმისა და ცოდნის გადაცემისა და შეფასების პროცესს, მონაწილეობს სასწავლო პროცესის განხორციელებასა და განვითარებაში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით.

C. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით ან/და სასწავლო საქმიანობას, რომელიც განმტკიცებულია აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერებით; შეიმუშავებს და ქმნის ახალ ცოდნას ორიენტირებულს/აქცენტირებულს სამართლის განვითარებისაკენ, მათ შორის, საკანონმდებლო პროცესზე პოზიტიური ზეგავლენისა და სამოსამართლო სამართლის დახვეწისაკენ, რაც ემსახურება, პირველ რიგში, პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს განვითარებას, აგრეთვე, სფეროს დემოკრატიზაციას, ინტერნაციონალიზაციას, ხოლო დარგის/ქვედარგის გათვალისწინებით (სადაც ეს შესაძლებელია), რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე, ქვეყნის შიგნით მიღებული სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციურობის დემონსტრირებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, რომელიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განათლების მერვე დონეს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას, რაც სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, დეტალური სფეროს ნაწილშია მოქცეული კოდით 0421.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აერთიანებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდის ინსტრუმენტებია:

- პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა;
- პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;
- პროგრამაზე მობილობის მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, უპირატესად სპეციალობის მიხედვით;
- დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით);
- ინდიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით, იმ ჟურნალების/პუბლიკაციების რეიტინგი, სადაც გამოქვეყნდება დასაცავი სადისერტაციო ნაშრომის შედეგთა ნაწილები სამეცნიერო პუბლიკაციის სახით;

წარმოდგენილ ინსტრუმენტებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები და რეაგირების გზები.

პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების კონტექსტში, წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მიმართება პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგთან, განსაზღვრულია თუ რომელი კომპონენტი რა დონით

ავითარებს პროგრამის ამა თუ იმ სწავლის შედეგს, დადგენილია სამიზნე ნიშნულები და განსაზღვრულია პერიოდულობა, რა დროშიც უნდა მოხდეს ხვადასხვა კომპონენტზე დაკვირვება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
---	---	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვებს წინაპირობები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49(1) მუხლის თანახმად, სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტურის საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებს და მინიმალურ სტანდარტს. „უმაღლესი

განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56(1) მუხლის თანახმად, დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის (CSL) დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენა. სერტიფიკატის ((IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) არქონის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შიდა ტესტური გამოცდის მეშვეობით აღნიშნული ენის B2 დონაზე ცოდნის დადგენას. შესაბამის ენობრივ კომპეტენციას უთანაბრდება შემთხვევა, თუ კი აპლიკანტს გააჩნია უცხოეთში (პროგრამის მითითებულ ენაზე გავლის შემთხვევაში) მიღებული ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების თანახმად, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის მქონე პროგრამის კურსდამთავრებულს და ასევე მობილობის წესით საქართველოს და უცხოეთის სამართლის სადოქტორო პროგრამებზე რიცხულ, სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტებს.

დოქტორანტობის კანდიდატი, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (B2 დონე). სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი ჩააბარებს საუნივერსიტეტო შიდა გამოცდას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურ ბმაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამაზე დაშვების პროცედურები წინაპირობებთან ერთად, ასევე, განსაზღვრულია უსდ-ის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით. საბუთების მიღებისა და შეფასების კრიტერიუმების აღნიშნული დებულების მე-11 და მე-12 მუხლებით არის მოწესრიგებული, სადაც დეტალურად არის გაწერილი ყველა საჭირო კრიტერიუმი. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

<ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების ანგარიში; • დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება; • ვებგვერდი [https://cu.edu.ge/schoolss/school-of-law/programs2/doctoral/csl-phd-law-cu].
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ფორმირებულია სასწავლო კომპონენტებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობით. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 60 ECTS</p>

კრედიტის სახით და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სამართლის სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელია. სასწავლო კომპონენტის 60 კრედიტი ფორმირებულია 2 თემატური სემინარით (40 კრედიტი) „სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდებიE“ (10კრედიტი), „სწავლების ინოვაციური მეთოდებით“ (5 კრედიტი) და „პროფესორის ასისტენტობის“ (5 კრედიტი) კომპონენტებით. სამართლის ფილოსოფიას დოქტორანტი აირჩევს იმ შემთხვევაში თუ ის წარადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთწლიანი პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ასეთ დროს მას უფლება აქვს პროფესორის ასისტენტობის ნაცვლად გაიაროს სასწავლო კურსი სამართლის ფილოსოფია.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - დისერტაციის შესრულებითა და დაცვით. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში სამართლის სკოლის დოქტორანტი ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას სამეცნიერო ხელმძღვანელთან (თანახელმძღვანელთან) შეთანხმებით. კვლევითი გეგმა მოიცავს დისერტაციაზე მუშაობის გრაფიკს. გეგმა ასევე მოიცავს ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისა და სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის გრაფიკს. ორივე სამეცნიერო სტატია (პროგრამითა და დებულებით დადგენილი სტანდარტის დონეზე) და საკონფერენციო მოხსენება დაკავშირებულია სადისერტაციო ნაშრომთან და მათი შესრულება წარმოადგენს დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობას. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დაფუძნებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია განათლების მერვე საფეხურისა და კვალიფიკაციის დონის შესაბამისად ფორმირებული პროგრამის შინაარსი და მოცულობა. პროგრამის შინაარსი, ასევე, ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები დროში ლოგიკურ წინაპირობებად არის გაწერილი, რაც უზრუნველყოფს შემდგომ კომპონენტზე დაშვების ადეკვატურ წინაპირობებს. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სწავლების ხანგრძლივობა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- ვებგვერდი [<https://cu.edu.ge/schoolss/school-of-law/programs2/doctoral/csl-phd-law-cu>].

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ფორმირებულია სასწავლო კურსებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სახით. ძირითადი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც სქემატურად პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების ურთიერთმიმართების რუკაზეც მკაფიოდ არის გამოსახული.

სასწავლო კურსების შინაარსი შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან და შეესაბამება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურს.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან, კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ სასწავლო კურსებს აქვს მინიჭებული კრედიტები. სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა, შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ხოლო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ითვალისწინებს ამა თუ იმ კურსის სპეციფიკას. პროგრამით განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებსა და დარგის აქტუალურ მიღწევებს, სადაც ითვალისწინებს სამართლის სფეროში უახლესს კვლევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

--

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლის სადოქტორო პროგრამა სწავლის შედეგებისა და უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ მთავარი სასწავლო კურსი, რომელიც, ძირითადად, ასეთი უნარების გამომუშავებისკენაა მიმართული, არის პროფესორი ასისტენტობა. სასწავლო კურსის მიზანია „დოქტორანტის მომავალი შესაძლო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება, დოქტორანტის მიერ აკადემიური პერსონალისათვის დახმარების გაწევის გზით.“ კონკრეტული უნარის გამომუშავებისკენ რის მიმართული სასწავლო კურსი „სწავლების ინოვაციური მეთოდები“, რომლის მიზანია, დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები აღჭურვოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე სწავლებისათვის მნიშვნელოვანი კონცეპტუალური, თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა, სტუდენტებს გამოუმუშავოს სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარი. შესაბამისად, სასწავლო კომპონენტების კუთხით, პრაქტიკული გარკვეული უნარების დოქტორანტისათვის გამომუშავება, გათვალისწინებულია.</p> <p>რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას, ამ მიმართულებით პროგრამა ითვალისწინებს ორ თემათურ სასემინარო ნაშრომს, ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას და დისერტაციასთან დაკავშირებულ საკითხთან სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას. ჩამოთვლილი ყველა კომპონენტი დისერტაციის დაცვის წინაპირობაა. ბუნებრივია, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მთავარი ნაწილი სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვაა.</p> <p>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.
<p>რეკომენდაციები:</p>

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით.
პროგრამაში წარმოდგენილი აღწერილობის მიხედვით, სწავლება-სწავლის მეთოდი წარმოადგენს დოქტორანტისათვის, ცოდნის გადაცემის საშუალებას, როგორცაა:
<ul style="list-style-type: none"> ➤ ლექცია; ➤ სამუშაო ჯგუფში მუშაობა; ➤ პრაქტიკული მუშაობა; ➤ სემინარი; ➤ ელექტრონული რესურსით სწავლება;

- ელექტრონული სწავლება
- და სხვა.

სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის **აქტივობებს**, როგორცაა: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ინდუქციური, დედუქციური, ანალიზი, სინთეზი, გონებრივი იერიში და სხვა.

მეთოდები და აქტივობები დაკონკრეტებულია სასწავლო კურსის ანდა სასწავლო აქტივობის სილაბუსებში. მეთოდისა და აქტივობის შერჩევა ეხმიანება სწავლების საფეხურს, ემსახურება კონკრეტული სასწავლო კურსის ანდა სასწავლო აქტივობის სილაბუსით განსაზღვრული მიზნებისა განხორციელებას. შერჩეული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტის მხრიდან შესაბამისი ცოდნის შექმნას, უნარების გამომუშავებასა და პასუხისმგებლობის განვითარებას. თითოეული სასწავლო კურსის ანდა სასწავლო აქტივობის ფარგლებში დადგენილი მეთოდები და აქტივობები ერთობლიობაში უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები ერთმანეთს ავსებენ. სასწავლო კურსის ანდა სასწავლო აქტივობის სილაბუსებში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ერთი ან რამდენიმე მეთოდი და აქტივობა, რომელიც განისაზღვრება სასწავლო კურსის სპეციფიკით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

